27 F75 N 3695

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ოქტომბერი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 229 (14833)

XXIV — შეინთვის, ჩვენო დედასამშობლოვ!

● **რუსთავი.** (საკ. კორ.). სასიხარულო ცნობები მოდის მარტენის საამქროდან. მეფოლადეთა ბრიგადები, რომლებსაც ვ. მეტრეველი, ი. გურგენიძე და ი. მარგალიტაძე თავკაცობენ, ფოლადს ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით უშვებენ.

მეფოლადეებს წარმატებათა მოპოვებაში დიდად ეხმარება ტექნიკური პროგრესი, რასაც ისინი წარმოებაში სისტემატურად ნერგავენ. მაგალითად, ფოლადის გაუანგვის ახალი მეთოდის დანერგვით თვითეულ ნადნობზე იზოგება 200 კილოგრამზე მეტი ფეროშენადნობი, ამასთან უმჯობესდება ფოლადის ხარისხი.

ინჟინრებმა გ. ჩაჩავამ, გ. ნებიერიძემ და ტ. პარფენოვმა შეიმუშავეს და ფოლადჩამოსახსმელი ამონაგის წყობის პროცესში დანერგეს ახალი შემადგენლობის ხსნარის გამოყენების მეთოდი, რითაც საამქროში ყოველწლიურად იზოგება 180 ათასი მანეთი, ამასთან 90 პროცენტით იზოგება ცეცხლების გამძლეობა.

● **თბილისი.** სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე უპატაკა რვა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 10,5 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ქარხანა დღითიდღე სულ უფრო მეტ იარაღ-მანქანებს უგზავნის სოფელს. აგვისტოსა და სექტემბრის პირველ ნახევარში გრაფიკის გასწრებით დიდი რაოდენობით გამოშვებულია პროდუქცია. სოფელს გაგზავნა ახალი მარკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ბაპარატების პარტია. ამავამად ქარხანაში მთავრდება ბაღისა და ბოსტნეულის კულტურების ჩითილის სარგავი კონუსების ათვისების სამუშაოები.

ქარხნის ბევრი მუშა დროს უსწრებს, ნოემბრის, დეკემბრის, მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივი წარმატებით დგას სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საპატიო შრომითს ვახტაზე.

მრავალმა მუშამ უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა და ამჟამად 1971 წლის ანგარიშში მუშაობს. მათ შორის არის მქსოველი ნთელა ფოსოშვილი. იგი ოთხ დაზგას ემსახურება.

სურათზე: ნ. ფოსოშვილი. ფოტო **ვ. მორგუნოვისა,** (საქდესის ფოტოქრონიკა).

დავიპყროთ ცოდნის მწვერვალები

ამ დღეებულ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. გაზეთს, რადიოს თუ ცისფერ ეკრანს ყოველდღე მოაქვს ახალ-ახალი ცნობები გმირული შრომის, სწავლისა და ცოდნის უმაგალითო გამარჯვებების შესახებ.

ხმელეთზე თუ კოსმოსში ძიების, შემართების ავანგარდში არიან კომუნისტები, კომკავშირელები და ყველა ისინი, ვინც გულმოდგინედ ეუფლება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერებას — მარქსიზმ-ლენინიზმს.

საბჭოთა ადამიანების ბრძოლისა და შრომის გმირული გზა განათებულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შუქით. რევოლუციური თეორია ლენინური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველია. იგი საშუალებას გვაძლევს სწორად გვესმოდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, ნათლად ვხედავდეთ წინსვლის გზას. ამიტომაც დღეს მარქსისტულ-ლენინური თეორია გაკრისტალებულია მილიონობით საბჭოთა ადამიანის პრაქტიკულ საქმეებში. კომუნისტები და უპარტიო მშრომელნი კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის შრომებში, სკკპ გადაწყვეტილებებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირების დოკუმენტებში პოულობენ ახალი საზოგადოების მშენებლობის პრინციპებს, სულიერ მასალებს, იდეურ სიმტკიცეს, ჩვენი დიდი საქმის სიმართლის რწმენას.

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ზრუნვა კომუნისტების იდეურ წრთობაზე, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაზე მუდამ იყო კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. ასეა ახლაც. კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებისა და მასშტაბების ზრდის კვალობაზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნები კომუნისტებისა და უპარტიო მასების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებაზე. არ შეიძლება იყო კომუნიზმის კარგი მშენებელი, თუ კი საფუძვლიანად არ იცნობ მეცნიერული კომუნიზმის თეორიას. ამიტომაც კომუნისტური პარტია განუხრელად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, ზრდის ყველა მშრომელთა პარტიისა და ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების ღრმად გაგების სულისკვეთებით, უნერგავს მათ კომუნიზმის მშენებლის საჭირო თვისებებს.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ახალი სასწავლო წლის დაწყებას წინ უსწრებდა დიდი და სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა. ფაქტიურად მზადება დაიწყო გასული სასწავლო წლის შეჯამებით. გაწეული მუშაობის ანალიზისა და შეჯამების შედეგად შეიქმნა ნათელი პერსპექტივა პარტიული განათლების ყველა რგოლის უფრო გონივრული, სრულყოფილი დაკომპლექტებისათვის. ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესაბამისად მოეწყო პროპაგანდისტთა კადრების გადამზადება და შერჩევა. პარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებში გაიმართა წინასწარი თათბირები მეცადინეობების თავის დროზე და რაც შეიძლება მაღალ იდეურ დონეზე ჩასატარებლად. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ სად უფრო უკეთ მოემზადნენ. ცხადია, ამას ნათლად გვიჩვენებს პირველი მეცადინეობების შედეგები. მაგრამ წინასწარი მონაცემებით შეიძლება მაინც აღინიშნოს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის საქალაქო, მახარაძის, გორის, სიღნაღის, ზუგდიდის რაიონული პარტიული ორგანიზაციების კარგი მუშაობა.

ახლა ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ის, თუ რამდენად ორგანიზებულად ჩავატარებთ მეცადინეობას პირველ დღეს. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული შემდგომი მუშაობა. ამიტომ თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პროპაგანდისტის, კომუნისტის მოვალეობა ის არის, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდოს ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

ახალი სასწავლო წელი ემთხვევა მეტად მნიშვნელოვან მოვლენას კომუნისტური პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებას. ცხადია, მზადების მთელი პერიოდი, თვით ყრილობის მოწვევა და მისი ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იქნება პარტიული განათლების მთელი სისტემისათვის. ამ მოვლენამ სელი უნდა შეუწყოს პარტიული პროპაგანდის ახალ გაქანებას, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის უფრო მაღალ დონეზე წარმართვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1969) და ივლისის (1970) პლენუმების გადაწყვეტილებანი, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ კადრების ეკონომიური მომზადების არსებითად გაუმჯობესებას. მაგრამ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის გაძლიერება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც ყურადღების შენელება მსოფლმხედველობითი დისციპლინების შესწავლისადმი. პირიქით, ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა უნდა აიგოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე საფუძვლებზე.

ახლა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. საჭიროა, მოხსენებებში, კამათში სათანადო ადგილი დაეთმოს სასწავლო წლის დაწყების, პირველ მეცადინეობათა შედეგებს, გავამსჯელოთ ყურადღება როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებზე.

ახალი სასწავლო წლის დევიზი უნდა გახდეს: სწავლა, ორგანიზაცია, შრომა. ამას მოითხოვს ჩვენგან სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის ინტერესები. პოლიტიკური განათლების მაღალ იდეურ დონეზე წარმართვამ სელი უნდა შეუწყოს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის გაძლიერებას. ყოველ ცოცხალ აზრს, სიტყვას, ინიციატივას, თაოსნობას უნდა მოეკიდოს პრაქტიკული საქმე, ახალი გამარჯვება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ეს არის პოლიტიკური განათლების მთავარი მოწოდება.

ავიღოთ ცოდნის მწვერვალები, უფრო ღრმად და უფრო სრულად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმს — ასეთია საბრძოლო ამოცანა პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალ სასწავლო წელს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ბაქოში ჩავიდა

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად 30 სექტემბერს ბაქოში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი.**

ქალაქის ვაგზალში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **გ. ა. ალიევი,** აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **კ. ა. ხალილოვი,** აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ი. იბრაგიმოვი,** რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა, საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციები, რომლებიც საიუბილეო ზეიმზე ჩავიდნენ აზერბაიჯანში, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

(საკდესი).

ბაქოში—საიუბილეო ზეიმზე

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ზეიმში მონაწილეობისათვის ბაქოში გაფრინდა საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე** (ხელმძღვანელი), პოეტი **რ. მარგიანი,** თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი სოციალისტური შრომის გმირი **ე. სოლომონია,** ლაგოდეხის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ცქიფურიშვილი** და სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ს. ზაქარიაძე.**

(საქდესი).

საბჭოთა დელეგაცია კაიროში

29 სექტემბერს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის გამალ აბდელ ნასერის დაკრძალვაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან კაიროში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინის** მეთაურობით.

კაირო, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს კაიროში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

დელეგაციას შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი მუჰამედ ფაზი და სხვა ოფიციალური პირები.

კაირო, 30 სექტემბერი. (საკდესი). კაიროში ჩამოსვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა პრეზიდენტ ანვარ სადათისადმი მიმართული წერილი გადასცა განცხადება.

საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, ნათქვამია განცხადებაში, კაიროში ჩამოვიდა, რათა გამოეხატოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხის დიდი მწუხარება პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის უდროო გარდაცვალების გამო.

საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის სახელით, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით ღრმა თანაგრძნობას უცხადებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას, ეროვნულ კრებას, არაბთა სოციალისტურ კავშირსა და ხალხს. გვინდა გამოვთქვათ რწმენა, ხაზგასმულია განცხადებაში, რომ მოსაფალშიც ჩვენი ქვეყნები იფლიან მეგობრობის, ყოველმხრივი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის, იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის საერთო გზით.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის, ფოსტისა და ტელეგრაფის, ეროვნული ეკონომიკის, ფინანსთა, ელექტროენერგეტიკის, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობის გადამამუშავებელი, ნავთობქიმიური, ნავთობის, ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობქიმიური, ელექტროტექნიკური, ენერგეტიკული, ტრანსპორტის, ავტომობილთმშენებლობის, ავიაციისა და ელექტრონული მრეწველობის, ეროვნული ეკონომიკის, ფინანსთა, ელექტროენერგეტიკის, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობის გ

დღეს იწყებს ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

ლენინური უნივერსიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურათზე: ახალი სასწავლო წლის წინ — თბილისის ლენინის რაიონის პროპაგანდისტთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. ჩხენკელი (თბილისის მე-12 საშუალო სკოლა), ი. გუგეშაშვილი (ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანა), ს. თვალჭრელიძე (ყამოლური დართვის ფაბრიკა), ბ. კახაძე (№ 7 სამკერვალო ფაბრიკა), ბ. ჭირაქაძე (ელმავალსაშენებლო ქარხანა), ო. ლომიძე (№ 1 პოლიკლინიკა), ა. ფურცელაძე (მე-12 საშუალო სკოლა), ხ. იორდანიძე (№ 7 სამკერვალო ფაბრიკა).

ფოტო ბ. კაკაბაძისა.

ეს დღეები პარტიულ ორგანიზაციებში

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა აფხაზეთის პროპაგანდისტთა მესამე რესპუბლიკური შეკრება. მოხსენებით „პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“ გამოვიდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ბ. ხვარიკაია.

აფხაზეთში ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში ისწავლის 40 ათასზე მეტი კაცი, აქედან კომუნისტი 20.287 და კომკავშირელი 5.468, იმუშავებს 462 დაწყებითი პოლიტსკოლა, 613 მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა და 433 თეორიული სემინარი. შერჩეულია 1.907 პროპაგანდისტი (აქედან 1.567 უმაღლესი განათლებით).

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა აფხაზეთის ყველა პროპაგანდისტისადმი.

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების მდივნების, პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, აგრეთვე სხვა იდეოლოგიური დარგის მუშაკთა საოლქო თათბირი, რომელმაც განიხილა პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების საკითხები. მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. ტაკაძემ.

იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

ცხინვალი. (საკ. კორ.). აქ სამ დღეს მიმდინარეობდა პროპაგანდისტთა სემინარი, რომელიც პარტიის საოლქო კომიტეტმა მოაწყო. პროპაგანდისტებმა მოისმინეს ლექციები პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის საკვანძო საკითხებზე. სემინარზე დიდი ადგილი დაეთმო პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში ჩაება 7.500 კაცი, აქედან 5.300 კომუნისტი, პირველ ოქტომბერს მუშაობას შეუდგება 118 დაწყებითი პოლიტსკოლა 1.500 მსმენელით, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 234 სკოლა 3.200 მსმენელით, 132 თეორიული სემინარი 2.250 მსმენელით.

რეგიონალიზაციის თეორიის დასაუფლებად წეგნზე დამოუკიდებლად იმუშავებს 500-ზე მეტი კომუნისტი.

ქუთაისი. (საკ. კორ.). 28-ე სასწავლო წელი დაიწყო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში, რომელიც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული კადრების პოლიტიკური სწავლების კერად გადაიქცა. თავიანი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტმა ხუთი ათასზე მეტი კურსდამთავრებული გამოუშვა.

გასულ სასწავლო წელს უნივერსიტეტი დაამთავრა 125 კაცმა. მათგან განსაკუთრებით მაღალი შეფასება დაიმსახურეს ამრეშუმის კომბინატის კომკავშრული კომიტეტის მდივანმა ბ. ბექაიამ, ექიმებმა ნ. შათირიშვილმა და ვ. შვანგირაძემ, პედაგოგებმა შ. ჭკვირიკაშვილმა, უ. გუბელაძემ და ა. ბარამიძემ, ინჟინრებმა ვ. ტორაძემ და ჯ. გელენიძემ.

ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის ზოგად (სამი წლის სწავლების კურსით), პროპაგანდისტულ და პარტიულ-სამეურნეო აქტივის ფაკულტეტებზე 410 კაცი სწავლობს. მათთვის ლექციებს კითხულობენ, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას აწყობენ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წევრები.

წელს უნივერსიტეტში შესრულ მიღებული 157 მსმენელი.

ტყიბული. (საკ. კორ.). მრავალი მეკანერის და ინჟინერ-ტექნიკოსი დაესწრო ეკონომიურ კონფერენციას, რომელიც სტალინის სახელობის შახტის პარტიკომი განთლების კაბინეტის სხდომათა დარბაზში მოეწყო.

ლექციით თემაზე — „საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიური ურთიერთობა“ — გამოვიდა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. სიხარულიძე. თემაზე „საქართველოს სსრ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა 30 წლის მანძილზე“, ლეკციებიანი ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მელაძემ.

ტექნიკის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორებმა, ტყიბულის სახელმწიფო ბანკის მმართველმა ა. ბიეშვილმა და ლენინის სახელობის შახტის მთავარი ინჟინერის მოადგილემ ვ. ლეჟავამ მსმენელებს გააცნეს ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მოპოვებული მიღწევები 50 წლის მანძილზე.

კონფერენციაზე მეშრომელთა მრავალი შეკითხვა შემოვიდა.

ხელო. (საკ. კორ.). პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის მომზადებულად დაწყებას მიეძღვნა პარტიის ხელოს რაიკომის სხდომათა დარბაზში გამართული სინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარი.

მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პირველი მდივანი მ. ბერიძე. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა და პროპაგანდისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

პი როგორ მოვემზადეთ

ჩვენს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში 69 კომუნისტია. პარტბიუროს ჯერ კიდევ ადრე, სექტემბრის პირველ დეკადაში განხილა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. პარტიულ კრებაზე თითქმის ყველა კომუნისტმა გამოთქვა აზრი, თუ ახალ სასწავლო წელს რა ვისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ.

ახლა ჩვენთან უკვე შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, რომელშიც ჩაება 28 კაცი (25 კომუნისტი და 3 უპარტიო ამხანაგი). პროპაგანდისტად შევარჩიეთ სანერგე მეურნეობის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. სეხნიაშვილი. მას პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება აქვს და მოწონებე პროპაგანდისტად ითვლება.

ჩვენთან შეიქმნა აგრეთვე „ეკონომიური საფუძვლების შემსწავლელი სკოლა“. სკოლის პროპაგანდისტად დამტკიცებულია ამ დარგის სპეციალისტი, ეკონომისტი მ. აზნაურიშვილი.

დღეს პირველ მეცადინეობას ვიწყებთ ცოდნის შეძენის წყურვილით.

თ. ბერაშვილი,
თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის პარტიბიუროს მდივანი.

ვისწავლოთ დიადი მეკავშირეობა!

ბუნებიერმა სასლმა მოაწყო პროპაგანდისტთა ხუთდღიანი კურსები, რომელზეც გადამზადდა ამ პროფილის 1.600 პროპაგანდისტი. თბილისელ პროპაგანდისტებისათვის მეთოდური დასმარების „ასაწვეთად ამ პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სასლთან შეიქმნა მუდმივმოქმედი ლექტორიუმი.

მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. პროპაგანდისტთა მომზადება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს. საჭიროდ მიგვაჩნია მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას მეცნიერული კომუნიზმის სწავლებისათვის პროპაგანდისტთა მომზადების სკოლები, კურსები, სემინარები. პარტიის რაიონულ კომიტეტებთან, როგორც წესი, უნდა დაარსდეს ამ საგნის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარები. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ მეცნიერული კომუნიზმის კათედრების, რადიოს, ტელევიზიის, რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის შესაძლებლობანი.

ინტერესი, რომელსაც იჩენენ მშრომელები მეცნიერული კომუნიზმის დაუფლებისადმი, საგნის სირთულე და მისი სწავლების არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია, გვავალებს მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ აღნიშნული საგნის პროპაგანდისტთა შერჩევა-გადამზადებას, მათი სწავლებისათვის სასწავლო-მეთოდური ბაზის შექმნას.

პროპაგანდისტ-ფილოსოფოსებთან გაწეული მუშაობის მიუხედავად ფილოსოფიის სწავლების დონე არ გვაკმაყოფილებს. ბევრგან ფილოსოფიის საგანს ნაკლებმომზადებული ამხანაგები ასწავლიან, ხოლო პარტიული ორგანიზაციები, პოლიტიკური განათლების სასლები და კაბინეტები ამ შეუწყნარებელი ფაქტების ჯერ კიდევ სათანადო ანალიზს არ უკეთებენ. ფილოსოფიის სწავლებაში არსებულ ფორმალიზმს არაერთარ შემთხვევაში არ უნდა შეეგუროგდეთ, ამ საგნის სწავლებისადმი ყურადღება არ უნდა შეგვანელოთ. საჭიროა კიდევ უფრო აქტიურად გამოვიყენოთ ფილოსოფიის პროპაგანდისტთა სწავლება-გადამზადების ყველა არსებული ფორმა.

ამიმდინარე სასწავლო წელს ერთერთ ძირითად საკითხს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა წარმოადგენს. ახალი სასწავლო წლიდან დაწყებითის პოლიტიკურ სკოლებში ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიისა და პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების დაუფლების შემდეგ მსმენელები შეისწავლიან ახალ საგანს — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლებს“,

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოციალისტური ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდების საკითხთა უფრო ღრმად განმარტებას. 1971 წლის მარტიდან მოეწყობა 5-6 სპეციალური მეცადინეობა თემაზე „თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და პარტიის ეკონომიური პოლიტიკა“.

უმაღლეს რეკონომიური საკითხების შემსწავლელ სემინარებს დაემატება რამდენიმე ახალი პრობლემა („წარმოების ინტენსიფიკაცია სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა“, „წარმოების ეკონომიური სტიმულირების თეორიული პრობლემები“, „მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოების მეცნიერული მართვის შესახებ“ და სხვ.), მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებსა და პარტიული აქტივის სკოლებში შეისწავლიან დამატებითი კურსს — „სკკპ ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლები თანამედროვე ეტაპზე“.

საჭირო იქნება ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაში უფრო ფართოდ, უფრო აქტიურად ჩაებათ ქალაქისა და სოფლის ტექნიკური ინტელიგენცია. ჩვენ ბევრი მომზადებული, ტექნიკურად განათლებული ინჟინერი და ეკონომისტი გვყავს, მაგრამ ემჩნევა, რომ ზოგიერთი მათგანი თავს არიდებს პროპაგანდისტული მუშაობას, რასაც ძირითადად დროის უქონლობით ხსნის. სამრეწველო საწარმოებში, საპროექტო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე დირექტორები, მთავარი ინჟინერები, განყოფილებათა გამგეები, მთავარი ეკონომისტები და აგრონომები, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ პროპაგანდისტებად დაწყებით სკოლაში, სადაც ისწავლება „ეკონომიური ცოდნის საფუძვლები“, ან სემინარების ხელმძღვანელებად პოლიტიკური სწავლების უმაღლეს რგოლში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის მკვეთრი გაძლიერება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის და მეცნიერული კომუნიზმის შესწავლისადმი ყურადღების შესუსტების სარჯზე.

ახალ სასწავლო წელს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს რჩება მიეცით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით შემოეღოთ საქართველოს კომპარტიის ისტორიის ორწლიანი კურსის სწავლება. დღისათვის ადგილებზე უკვე დაგზავნილია ამ კურსის გაშლილი თემატიკა სათანადო ლიტერატურის ჩვენებით. ასეთი კურსის გავლა მიზანშეწონილად მიგვაჩნია პოლიტიკური განათლების ქსელის იმ მსმენელებისათვის, რომლებიც უკანასკნელ ორ სასწავლო წელს მეცადინეობდნენ პარტიის ისტორიის შემსწავლელ ორწლიან სკოლებში, აგრეთვე ზოგიერთი იმ თეორიული და პრობლემური სემინარების მსმენელებისათვის, რომლებმაც დაასრულეს პროგრამით გათვალისწინებული კურსი. კარი იქნება, თუ პარტიული კაბინეტები საქართველოს კომპარტიის ისტორიის შესასწავლად შექმნან ლექტორიუმებს, სადაც ჩაებმიან კომუნისტები და უპარტიო აქტივი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ხელმძღვანელი კადრების თეორიული მომზადება. პარტია მოითხოვს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ფაკულტეტებმა ყველა კომუნისტისათვის, სახელმწიფოებრივი, საშეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა დარგის მუშაკისათვის, მაგრამ თუ კარგად გაგრძელებული საქმის ვითარებაში, ადვილად დადასტურდებ, რომ ბევრგან საერთოდ არ არსებობს ხელმძღვანელი კადრების სწავლების ცოტად თუ ბევრად გარკვეული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს თეორიის თანმიმდევრულ და სისტემატურ შესწავლას. პარტიულ-სამეცნიერო აქტივის სკოლების, ლენინური ცოდნის უნივერსიტეტების, თეორიული და პრობლემური სემინარების მუშაობა ხასიათდება სუსტი, არასრულფასოვანი ორგანიზაციითა და მეთოდიკით.

სამწუხაროდ, ხელმძღვანელი კადრებისათვის დაარსებულ სკოლებსა და სემინარებში საქმე იწყება და მთავრდება მხოლოდ თვეში ერთი ლექციის წაკითხვით. არ იმართება სემინარული მეცადინეობა, არ მზადდება რეფერატები და მოხსენებები. ბევრგან საქალაქო და რაიონულ სკოლებში გათვალისწინებული არ არის მსმენელთა პროფესიონალური თავისებურებები, მათი ინტერესი, მსმენელთა შემადგენლობა მერყეობს ერთ-ერთ დიდ, ხოლო ლექციური ან სემინარული მუშაობის მეთოდიკა საერთოდ არ არის გამოყენებული. გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვენ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები, რომელთა მუშაობაში ბევრი ფორმალიზმია.

აღსანიშნავია ის ღონისძიებანი, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა ხელმძღვანელი კადრების სწავლების უკეთესი ორგანიზაციისათვის. შემუშავდა სწავლების წყვრილი სისტემა, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა ხელმძღვანელ მუშაკს და დაფუძნებულია სწავლების მტკიცე ორგანიზაციაზე, მაღალ დისციპლინასა და მომთხოვნელობაზე.

ამჟამად რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები ჩაბმული არიან უმაღლესი პოლიტიკური სწავლების სხვადასხვა ფორმებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა ქალაქსა და რაიონში ხელმძღვანელი კადრების სხვა ფორმებთან ერთად კვლავ შეიქმნას, აღდგეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლები, რომლებშიც სწავლება

ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში

პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებიდან

ქარგახანია ვეზევი ლენინური მემკვიდრეობის იდეების პროპაგანდას. მეოთხედი საუკუნე შესრულდა, რაც ჩემს მშობლიურ სოფელში პროპაგანდისტის სამაგალითო მოვალეობას ვასრულებ. აქედან ოცი წელია ადგილობრივ ოქტომბერ ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციასთან შექმნილ პარტიტორიის შემსწავლელ სკოლას ვუძღვებოდი. უკანასკნელი ხუთი წელი კი ოქტომბერ საშუალო სკოლის პარტორგანიზაციასთან შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა-ფილიალს ვხელმძღვანელობ.

ამ სკოლაში ჩაბმულია 15 მასწავლებელი. გასულ სასწავლო წელს დავამთავრეთ პოლიტეკონომიის კურსი. ახალი სასწავლო წლიდან კი მარქსისტული ფილოსოფიის კურსს გავიარეთ. ჩვენს სკოლაში მეცადინეობა მუდამ ორგანიზებულად მიმდინარეობდა. მსმენელებმა საფუძვლიანად შეისწავლეს პროგრამით გათვალისწინებული თემები. რა თქმა უნდა, ყოველი მეცადინეობა მტკიცედ უკავშირდებოდა პროგრამულ საკითხებს, ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ მეცადინეობის შემდეგ მსმენელები უფრო და უფრო აქტიურობდნენ. ამას განაპირობებდა ის, რომ ვიყენებდი კოლექტივის, სოფლის, რაიონის ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებს, მონაცემებს, ფაქტებს. ეს კი სულ უფრო ამამდა მსმენელებს საუბარში, აღუძრავდა მათ კამათში მონაწილეობის სურვილს.

არაერთხელ დავრწმუნდი, რომ მსმენელები პროპაგანდისტს მაშინ უსმენენ, როცა რწმუნდებიან, რომ პროპაგანდისტი შეიარაღებულია ცხოვრების დიდი გამოცდილებით, თეორიული ცოდნით, კოლექტივის ცხოვრების შესწავლით და შეუძენია მსმენელებთან ინდივიდუალური მიდგომის გამოცდილება.

მეცადინეობის წინ ყოველ თემას დავყოფ ხოლმე სამ-ოთხ საკითხად, ვადგენ საუბრის მოკლე გეგმას, პირად ბიბლიოთეკაში საფუძვლიანად ვემზადები მეცადინეობისათვის. გამოცდილებამ მიკარნახა, რომ მეცადინეობის წინ გაუფთო მოკლე მომხილვა საშინაო და საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ მთავარ ამბებს, რასაც 10-15 წუთს ვანდომებ.

ჩემი სკოლის მსმენელები ბეჭითად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის. ისინი წინასწარ შეეკრიბე, მოვეთათბირე, თუ რა სახის თვალსაჩინოების მასალები და სახელმძღვანელოები მოემზადებინათ მეცადინეობის დაწყებისათვის. სკოლისათვის გამოყოფილია სპეციალური სამეცადინო ოთახი, რომელიც სათანადოდ არის გაფორმებული. ზაფხულის პერიოდში მსმენელებმა სხვადასხვა თემაზე მოისმინეს რაიონიდან და რესპუბლიკის ცენტრიდან ჩამოსული ლექტორების კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები. მე ვთვლი და ეს-ესკურსია მოვაწყეთ ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტად რომ ვმუშაობ, ამავე დროს სასსკოლო პარტორგანიზაციის მიურომს მდივანიც ვარ. ადგილზე დახმარებას ვუწევ აგიტატორებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXIV ყრილობისათვის შესახვედრად საუბრების თემების შერჩევასა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში.

მე ხალისით შემიძლია დავასახელო მოწინავე, გულმოდგინე მსმენელები, რომელთა შორის არიან ლ. უზარაშვილი, ე. ბახია, ვ. ტყეშუნავა, თ. გეგენავა, ლ. ბულისკერია, მ. კაკუბავა, ს. ფარფალია, გ. შამათავა.

მეც და ჩემმა მსმენელებმაც კარგად ვიცით, რომ მარქსისტულ-ლენინური განათლება, პარტიის წევრთა იდეური წრთობა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ხაზრძოლი ამოცანაა.

ი. შამათავა,
ბალის რაიონის ოქტომის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტი.

პროპაგანდისტის კეთილი საქმეები

წრფელი გულით

ჯოკორტში ახლახან ვეღაცა ერთი ადამიანის სანახავად, რომლის წინაშე ყველანი იქუდს იხდიან. ის გახლავთ მესანიშნავე ბედაგოგი და პროპაგანდისტი **ეფემია ლაფანაშვილი**... ახლა კი გონების თვალით ვხედავ სასოფლო საბჭოს გაჩიროდნებულ ოთახს, სადაც თავი მოუყრიათ პარტიის ისტორიის შემსწავლელი სკოლის მსმენელებს და მათს ხელმძღვანელს.

მინდა გაგაცნოთ მსმენელები და პროპაგანდისტი.

მაგიდებს უსხედან არაგვისპირის საბჭოთა მეგვინახეობა-მეხილეობის მეურნეობის მუშაკი, შრომაში გაჭალარავებული ადამიანები ლექსო და გიგო ზეკიძეები, ვანო ოფანაშვილი, გოგი რაზმაძე, ვასილ ლაფანაშვილი, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი დალი რაზმაძე, ვეტფერშალი ნორა ბალიაძეები და სხვები, რომლებიც ეუფლებიან ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას. ეს ადგილი არ არის, მაგრამ ადამიანის სურვილს და მონდომებას წინ რა დაუდგება. შარშან სკოლამ ნაყოფიერად იმუშავა. კმაყოფილები იყვნენ მსმენელებიც და პროპაგანდისტიც. ახლაც დიდი ხალისით შეკრებილან. სწავლა ვის მოსწარმებია — ამბობს ვასილ ლაფანაშვილი და დაკოდრებული ხელით ფურცლავს თავის ჩანაწერებს, ეეიძლება მისი „კონსპექტი“ სხვამ, გარეშე პირმა ეერც კი გიგიოს, მაგრამ მისთვის საკმარისია ერთი სიტყვის ამოკითხვა, პარტიის ისტორიის მრავალი ამბავი რომ გიახსენოს.

ეფემია ლაფანაშვილი კი ყველას ახლო იცნობს, იცის თვითეულის ჭირი და ლხინი, უყვარს მათთან ყოფნა, იგი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ მოწინავე პროპაგანდისტად, ოცდაოხუთმეტ წელიწადზე მეტი, რაც სახელოვნად ასრულებს ამ პარტიულ დავალებას, პროპაგანდისტობა თითქოს მისი მეორე პროფესია გახდა. ამ ნათელ ადამიანს ხალხში შეაქვს ლენინური იდეების შუქი, ზრდის მათ კომუნისტური სულისკვეთებით, ლენინიზმის შეუდრეკელი რწმენით.

ეფემიამ კარგად იცის, რომ ახლა პროპაგანდისტს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მარტო დადგენილებების, დირექტივებისა და სახელმძღვანელოების შინაარსის გადმოცემით. ჩვენს დროში მას გაცილებით მეტი მოეთხოვება. პროპაგანდისტი ვალდებულია ინოსნის ადამიანთა გონებისა და გულის გასაღები, დაეხმაროს ცოდნის დაუფლებაში, შემოქმედებითი ახრის გაღვიძებაში, უპასუხოს ყველაზე რთულ და მწვავე შეკითხვებზე, იყოს მგზნებარე იდეოლოგიური მებრძოლი და მასების ორგანიზატორი.

ეფემია ლაფანაშვილი შესანიშნავად ფლობს პროპაგანდისტის რთულ ხელოვნებას, კარგად იცის, რომ იდეოლოგიური მუშაობა აბსტრაქტული გამნმანათლებლობა როდია, რომ მას განსაზღვრული მიზანი აქვს. ეს მიზანია პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. ამისაკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ლეგმზრდელობითი საქმიანობა.

როცა ეფემიას მუშაობის გამოცდილებას ვეცნობით, ეროხელ კიდევ ეკვრწმუნდებით, რომ პარტიულ განათლებაში მთავარი ფიგურა პროპაგანდისტია, რომ „ლიმბრდელი თვითონ უნდა იყოს ალზრდილი“.

ამიტომაც ის ბევრს მუშაობს თავისთავზე, სისტემატურად და ბეჯითად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს, ყოველდღიურად ბევრი წიგნის გადაფურცვლა და წაკითხვა უხდება, აკვს მდიდარი ბიბლიოთეკა, მეთოდური დახელოვნების მიზნით ორჯერ იყო პოლიტიკური . განათლების რესპუბლიკურ სახლში სემინარზე.

მეცადინეობაზე ეფემია ყოველთვის მომზადებული მოდის, მისი საუბარი მიმზიდველი და გასაგებია, პროპაგანდისტის მუშაობის მთავარი მეთოდია ცოცხალი საუბარი, კითხვა-პასუხი, ახრთა გაცვლა-გამოცვლა, ზოგჯერ გაცხარებული კამათი — ეს ამაღლებს მსმენელთა აქტივობას, აჩვევს მათ დამოუკიდებელ აზროვნებას. ახრთა ჭიდილში კი იბადება ჭეშმარიტება, მსმენელებს აჩვევს წიგნზე, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე დამოუკიდებლად მუშაობას. ეს, რა თქმა უნდა, ძნელი საქმეა, მაგრამ ძნელიდეთა გადალახვა შესაძლებელია.

ეფემიას ბევჯერ უთქვამს, ზოგი პროპაგანდისტის წარუმატებლობა სწორედ იმის შედეგია, რომ მათ არ გაანალიზეს დარწმუნების უნარი, თუ წრის მეცადინეობაზე ან სხვა აუდიტორიაში პროპაგანდისტი გამოდის კაზიონურად, უგულოდ, თუ უნარიანად არ იყენებს ცხოვრების ფაქტებს, არ განაზოგადებს მათ, ცხადია, დარწმუნებაც ალარ იქნება.

კომუნისტთა პოლიტიკური განათლება თვითმიზანი არ არის, იდეოლოგიური მუშაობის მთავარი დანიშნულებაა. ადამიანების კომუნისტური აღზრდა და მათი იდეური წრთობა, ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში თავს იჩენს ადამიანის საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, შრომისადმი მათს დამოკიდებულებაში. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ სკოლის ყველა მსმენელი მოწონებულ იქნა თავის სამუშაო პოსტზე. როცა სკოლაში საუბარი ჰქონდა პროპაგანდისტს ლენინურ შაბათობაზე, გადაწყვიტეს ყველა მსმენელს აქტიური მონაწილეობა მიეღო ამ ღონისძიებაში. ეფემია ლაფანაშვილი, ზესანიშნავი ბედაგოგი და მასწავლებელი, განუწყვეტლივ რომ სწავლობს და სხვებსაც უნერგავს სწავლის სურვილს, ეს უანგარო და სპეტაკი ქალი უყვარს სოფელს. უყვარს ასობით მის ნამოწოფარს, ამაშია მისი დიდი ადამიანური ბედნიერება.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
დუშეთის რაიონი.

ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობა, კომუნიზმი

კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ფართოდ აღნიშნავენ რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვის „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანების“ 50 წლისთავს.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია „ვ. ი. ლენინი და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა“, რომელიც 28 სექტემბერს გაიხსნა მოსკოვში. კონფერენცია მოიწვიეს სრულიად საკავშირო ალკაკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ და სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“.

ცენტრალური ლექტორიუმის დიდ დარბაზში ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა.

კონფერენციის გახსნიხას სრულიად საკავშირო ალკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. ტიაჟელნიკოვმა ხაზი გაუსვა, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გამოსვლა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე იყო დიდი წვლილი მარქსისტულ თეორიაში.

ღიღის სხდომაზე ვ. ვ. ტიაჟელნიკოვმა გააკეთა მოხსენება „ვ. ი. ლენინის სიტყვა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე“ ან „ლენინურ ტრადიციებზე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის“.

სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია მოსკოვში

შემდეგ მოისმინეს მოხსენება „ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები“. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა გ. დ. ობიჩკინმა.

კონფერენციის პირველი დღის მუშაობის პროგრამაში იყო აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ვ. ა. კოტელნიკოვის მოხსენება „ახალგაზრდობის ადგილი და როლი მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაში“ და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვ. მ. ხვოსტოვის მოხსენება „ვ. ი. ლენინი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა აღზრდის სისტემის მეცნიერულ-პედაგოგიური საფუძვლები“.

29 სექტემბერს კონფერენციის მონაწილენი სექციებად მუშაობდნენ. მათ დიდი საქმიანი სჯა-ბაასი ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს დროში ბელადის ანდერძი ახალგაზრდობისადმი — ვისწავლოთ კომუნიზმი.

სექციაში „ახალგაზრდობა — კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე“ მოყვანილი იყო მკაფიო ფაქტები კომკავშირის შრომითი ბიოგრაფიიდან. სრულიად საკავშირო ალკკ XV და XVI ყრილობებს შორის პერიოდში უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა. კომკავშირისა და ახალგაზრდობის მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში“, „კომკავშირი ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ და სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“.

ცენტრალური ლექტორიუმის დიდ დარბაზში ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა.

კონფერენციის გახსნიხას სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. ტიაჟელნიკოვმა ხაზი გაუსვა, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გამოსვლა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე იყო დიდი წვლილი მარქსისტულ თეორიაში.

ღიღის სხდომაზე ვ. ვ. ტიაჟელნიკოვმა გააკეთა მოხსენება „ვ. ი. ლენინის სიტყვა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე“ ან „ლენინურ ტრადიციებზე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის“.

მსოფლიო დღეს

შეხვედრები კაიროში

კაირო, 30 სექტემბერი. (საკ-დესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად კაიროში ჩამოსულ პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას მეთაურობს, კუბის რესპუბლიკურ სასახლეში შეხვდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოადგილეობის შემსრულებელს ანვარ სადათს, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს ჰუსეინ შაფის, ალი საბრისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სამხედრო მინისტრს მუჰამედ ფაუზის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და პირადად თავისი სახელით ა. ნ. კოსიგინმა ღრმა სამძიმარი უთხრა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის უდროოდ გარდაცვალების გამო.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინსა და ანვარ სადათს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს მან გამოთქვა მხსნრაფება საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის კვლავაც განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყნის ხალხების, ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისა და უშიშროების საქმის ინტერესებისათვის.

საუბარი გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა.

კაირო, 30 სექტემბერი. (საკ-დესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ეწვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის განსვენებული პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ქვრივს და ოჯახის სხვა წევრებს და მიუსამძიმრა მძიმე დანაკლისის გამო.

დიდი თანაგრძნობა

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის გარდაცვალების გამო

კაირო, 29 სექტემბერი. (საკ-დესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოადგილეობის შემსრულებელს ანვარ სადათის სახელზე მოდის სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მრავალი დეპეშა, რომლებშიც ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის გამალ აბდელ ნასერის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. „პრეზიდენტი ნასერი იყო ინდოეთის ერთიანი და თანმიმდევრული მეგობარი, და მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენთვის, — ნათქვამია ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის წერილში. — გამალ აბდელ ნასერი ადამიანთა მეხსიერებაში დარჩება როგორც დიდი ლიდერი და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე. ინდოელი ხალხი იზიარებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხის მწუხარებას“.

დამასკო, 29 სექტემბერი. (საკ-დესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა ნურედინ ატასმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გაუგზავნა თანაგრძნობის დეპეშა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების გამო. მთავრობის გადწყვეტილებით სირიაში გამოცხადებულია გლოვა. გაზეთი „ალ-ბაასი“ ხაზს უსვამს, რომ გამალ აბდელ ნასერის სახით არაბმა ხალხმა დაკარგა მეფგარი მებრძოლი მისი ინტერესებისათვის.

სოფია, 30 სექტემბერი. (საკ-დესი). ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ტრაიკოვმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოგალეობის შემსრულებელს ანვარ სადათს გაუგზავნეს თანაგრძნობის დეპეშა გამალ აბდელ ნასერის გარდაცვალების გამო.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ პრეზიდენტი ნასერი იყო თვალსაჩინო მოღვაწე იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. იგი მტკიცედ იცავდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის მებრძოლი ხალხების მართალ საქმის. მუდამ დარჩება მეხსიერებაში მისი საქმიანობა არაბი ხალხების ერთიანობის განმტკიცებისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ბუდაპეშტი, 30 სექტემბერი. (საკდესი). „ღრმა მწუხარებით და სინანულით შევიტყვეთ, რომ უეცრად გარდაიცვალა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. ამ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის სიკვდილით ეგვიპტელმა ხალხმა, არაბმა ერმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ უღიდესი დანაკლისი განიცადა, — ნათქვამია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. კადარის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბ. ლომონეცის, უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარის ე. ფოჯის დეპეშაში, რომელიც გაუგზავნეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოადგილეობის შემსრულებელს ანვარ სადათს გაუგზავნეს თანაგრძნობის დეპეშა გამალ აბდელ ნასერის გარდაცვალების გამო.

ბერლინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი და სხვა ხელმძღვანელი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები გუშინ ეწვივნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საელჩოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რათა გამოეთქვათ დიდი თანაგრძნობა პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის გარდაცვალების გამო.

ვალტერ ულბრიხტმა და ვილი შტოფმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოადგილეობის შემსრულებელს ანვარ სადათს, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლეს აღმასრულებელ კომიტეტსა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. დეპეშაში მაღალ შეფასებას აძლევენ გამალ აბდელ ნასერის — თავისი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, არაბი ხალხების სამართლიანი საქმისათვის მედგარი მებრძოლის დამსახურებას.

ჩეხოსლოვაკია

მოლაპარაკება პრაღაში

პრაღა, 30 სექტემბერი. (საკ-დესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით პრაღაში ჩამოვიდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის კურტ ბახმანის მეთაურობით.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიწყო მოლაპარაკება ორ დელეგაციას შორის, გერმანელთა კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა.

შვეიცარია

არჩევნების შედეგები

ციურიხი, 29 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს შვეიცარიის ახალი ეროვნული რაჭლდაგის (პარლამენტის) არჩევნების საბოლოო შედეგები.

350 დეპუტატის ადგილიდან ახალ რიგსდაგში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 163 მანდატი, ცენტრის პარტიამ 71, სახალხო პარტიამ 58, ზომიერმა კოალიციურმა პარტიამ — 41 მანდატი, მემარცხენე პარტიამ — კომუნისტებმა — 17 მანდატი.

საბერძნეთ ვიეტნამი

კატრიოტები უტევენ

ათენი, 30 სექტემბერი. (საკ-დესი). სამხრეთ ვიეტნამიდან მიღებული ცნობების თანახმად, 10-20 სექტემბრის მიდნარე მეკონგის ხეობაში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მწყობრიდან ამოიყვანეს მოწინააღმდეგის 900-ზე მეტი ჯარისკაცი, ჩაძირეს და დააზიანეს 8 სამხედრო გემი და კატერი, ჩამოაგდეს 9 ვერტმფრენი.

ტენინის პროვინციაში 3-12 სექტემბრის „აფთრებული ბრძოლების შედეგად პატრიოტებმა მწყობრიდან ამოიყვანეს მოწინააღმდეგის 430 ჯარისკაცი.

ბონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). **გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა კომპარტიის წინადადებანი მიწის რეფორმის საკითხზე.** გერმანელთა კომპარტია წინადადებას იძლევა ნაციონალიზაცია უყოს მიწის მსხვილ საკუთრებას, რომელიც ეკუთვნის დიდ მიწათმფლობელებს, ბანკებს, სადაზღვეო საზოგადოებებს და სამრეწველო კონცერნებს. იგი მოითხოვს, რომ ქალაქებსა და თემებს მისცენ მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, გზებისა და სხვ. მშენებლობისათვის, აგრეთვე განათავსებელონ ღონისძიებანი მიწით სპეკულაციის აღკვეთისათვის.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ წინადადებათა მიზანია აღკვეთონ მიწით სპეკულაცია, ხელი შეუწყონ სახელმწიფო საბინაო მშენებლობას, რომ მოსახლეობას ჰქონდეს საკმაო რაოდენობის ბინები ზომიერი ბინის ქირით, აგრეთვე შემცირდეს წინამძღვრები ქალაქების რეკონსტრუქციისათვის

ინდოეთი

მოითხოვენ ნაციონალიზაციას

ბონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). **გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა კომპარტიის წინადადებანი მიწის რეფორმის საკითხზე.** გერმანელთა კომპარტია წინადადებას იძლევა ნაციონალიზაცია უყოს მიწის მსხვილ საკუთრებას, რომელიც ეკუთვნის დიდ მიწათმფლობელებს, ბანკებს, სადაზღვეო საზოგადოებებს და სამრეწველო კონცერნებს. იგი მოითხოვს, რომ ქალაქებსა და თემებს მისცენ მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, გზებისა და სხვ. მშენებლობისათვის, აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი მიწით სპეკულაციის აღკვეთისათვის.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ წინადადებათა მიზანია აღკვეთონ მიწით სპეკულაცია, ხელი შეუწყონ სახელმწიფო საბინაო მშენებლობას, რომ მოსახლეობას ჰქონდეს საკმაო რაოდენობის ბინები ზომიერი ბინის ქირით, აგრეთვე შემცირდეს წინამძღვრები ქალაქების რეკონსტრუქციისათვის



საბჭოთა ექიმები კერეში

ბერეშში მუშაობენ საბჭოთა საველე ჰოსპიტალი და ახალგაზრდული საჭიდაინო რაზმი, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. საბჭოთა სპეციალისტები აკეთებენ რთულ ოპერაციებს, აწარმოებენ პროფილაქტიკურ შემოწმებას, მკურნალობენ ყველაზე მორეული რაიონების მოსახლეობას, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სტიქიური უბედურებისაგან.

ჰოსპიტალთან და ახალგაზრდა მოსალოდნელებთან მჭიდრო კავშირი აქვს საბჭოთა მფრინავების ჯგუფს.

ხურაკზეზე: საბჭოთა საველე ჰოსპიტალთან. (საკდესის ფოტო ქრონიკა).

კუბის რევოლუციის გრძელდება

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 29 სექტემბერი. (საკდესი). კუბელმა მეფრომელმა საზეიმო ვიოლარბაში აღნიშნეს რევოლუციის დაცვის კომიტეტების — ქვეყნის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის შექმნის 10 წლისთავი. ჰავანაში რევოლუციის მოუდგნენ გამარჯვებულ მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ განვლილი 10 წლის მანძილზე რევოლუციის დაცვის კომიტეტები ორგანიზაციულად განმტკიცდნენ და კუბელი ხალხის მონაპოვართა საიმედო დამცველები გახდნენ.

რევოლუციის დაცვის კომიტეტები, რომლებიც წარმოიშვა როგორც მასობრივი ორგანიზაცია კონტრრევოლუციის მოსაგერიებლად, თქვა პრემიერ-მინისტრმა, მთელი მომდევნო წლების მანძილზე მოქმედებდნენ სულ სხვადასხვა სფეროში: ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ, მაგალითად, უწიგნურობის ლიკვიდაციის კამპანიაში, ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსახლეობისა და სანიტარიო ფონდის აღწერაში. ეს ორგანიზაცია მუდამ იჩენს დიდ სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას.

ფ. კასტრომ განაცხადა, რომ ამჟამად რევოლუციის დაცვის კომიტეტებში გაერთიანებულია 3.240 ათასი კაცი. ესენი არიან ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

„ახლა, როცა რევოლუციაში იწყება ახალი, უფრო მომწიფებული ფაზა, რომელიც ითვალისწინებს დაუნდობელ ბრძოლას წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მასობრივ ორგანიზაციებშიც იწყება საქმიანობის ახალი ფაზა-რევოლუციური პროცესის დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ეტაპი“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მასობრივ ორგანიზაციებს, ხაზი გაუსვა მან, საფუძვლად უდევს ხალხის უშუალო მონაწილეობა ქვეყნის პრობლემების გადაჭრაში.

ამჟამად, თქვა შემდეგ ფ. კასტრომ, ბევრ ძალ-ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად განვავითაროთ ჩვენი მუშათა ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ამ ბოლო ორი წლის მანძილზე რამდენადმე შესუსტდა.

ფ. კასტრომ დიდი ყურადღება დაუთმო კომუნისტური პარტიის როლს, მის კავშირს მასებთან. „პარტიამ არ უნდა შეცვალოს არც ადმინისტრაციული აპარატი, არც მასობრივი ორგანიზაციები, მაგრამ იგი უნდა წარმართავდეს, ორიენტირებს აძლევდეს, ანუ — კანონად ვთქვათ — ბრძანებულებას“, — ამბობს ფ. კასტრომ.

ფ. კასტრომ შემდეგ აღნიშნა, რომ ახლა კუბაში ფართოდ ჩაღდება ბრძოლა უქნარების, პარაზიტებისა და გამცდენების წინააღმდეგ. საზოგადოებაში, სადაც თითოეული მოქალაქე კოლექტივისათვის მუშაობს, აღნიშნა მან, უქნარობა უნდა მივიჩნიოთ ქურდობის მსგავს დანაშაულად. უქნარა ყოველდღე ეარცვავს ხალხს: ის, რასაც იგი ხმარობს, ხომ შრომით უნდა შეექმნათ.

ფ. კასტრომ ილაპარაკა მთელ კუბაში გამართულ კრებებზე, რომლებზეც მშრომელები მხარს უჭერენ გადამჭრელ ღონისძიებებს შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის.

პრემიერ-მინისტრმა დასასრულს თქვა, რომ სიძნელეებთან ბრძოლა მოითხოვს დროს: „საკმე ეხება არა ერთ დღეს, კვირას ან თვეს, — ეს არის ხანგრძლივი, შეუსვენებელი ბრძოლა, მაგრამ შედეგები ყველაფერში გამოჩნდება“.

გფრ

მოითხოვენ ნაციონალიზაციას

ბონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). **გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა კომპარტიის წინადადებანი მიწის რეფორმის საკითხზე.** გერმანელთა კომპარტია წინადადებას იძლევა ნაციონალიზაცია უყოს მიწის მსხვილ საკუთრებას, რომელიც ეკუთვნის დიდ მიწათმფლობელებს, ბანკებს, სადაზღვეო საზოგადოებებს და სამრეწველო კონცერნებს. იგი მოითხოვს, რომ ქალაქებსა და თემებს მისცენ მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, გზებისა და სხვ. მშენებლობისათვის, აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი მიწით სპეკულაციის აღკვეთისათვის.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ წინადადებათა მიზანია აღკვეთონ მიწით სპეკულაცია, ხელი შეუწყონ სახელმწიფო საბინაო მშენებლობას, რომ მოსახლეობას ჰქონდეს საკმაო რაოდენობის ბინები ზომიერი ბინის ქირით, აგრეთვე შემცირდეს წინამძღვრები ქალაქების რეკონსტრუქციისათვის

ამერიკის შეერთებული შტატები

აგრესიის მსხვერპლნი

ვაშინგტონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის მხედრიონის მიერ განადგურებული ნაომარი მოქმედება მშობლიური ადგილებიდან ერეკება ასიათასობით მშვიდობიან მცხოვრებს, წარმოშობს ლტოლვილთა მწვავე პრობლემას. მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატი იძულებული გახდა განეხილა ეს საკითხი და ამისათვის შექმნა სპეციალური ქვეკომისია. ახლახან ამ ქვეკომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში.

ომი ინდოჩინეთში ფართოვდება, მიმდინარეობს მძიმე ბრძოლები სამხრეთ გიეტნამის ბევრ ეგრეოდებულ „დაშოშმინებულ“ რაიონში, გრძელდება სამხრეთ ვიეტნამისა და ლაოსის დაბომბვა, იზრდება კამბოჯაზე საჰაერო თავდასხმების რიცხვი, ნათქვამია მოხსენების პრეამბულაში.

როგორც მოხსენების შემდგენელთა მონაცემები მოწმობენ, სამხრეთ გიეტნამში მარტო ოფიციალურად აღრიცხულია 500 ათასზე მეტი ლტოლვილი. მაგრამ ბანაკებსა და ქალაქის გეტოებში, ნათქვამია მოხსენებაში, არის კიდევ 3 მილიონზე მეტი ლტოლვილი, კამბოჯაში ექვსი თვის ბრძოლების შემდეგ, იუწყებიან მოხსენების შემდგენლები, ლტოლვილთა რიცხვი ამ ქვეყანაში მილიონს უახლოვდება. ამ რიცხვში არ შედის ვიეტნამელი უმცირესობის წარმომადგენელთა „გადაადგილება“. ლტოლვილთა რიცხვი ლაოსში 300 ათას კაცს აღწევს.

მოუწოდებენ ბრძოლისათვის

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). ატლანტიკ-სიტიში გამართულ შეტალუნგიული მრეწველობის გაერთიანებული პროფკავშირის მორიგ კონფერენციაზე ერთ-ერთ მოხსენებაში ეკონომიური პოლიტიკა. მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, აღინიშნეთ ყრილობისადმი წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში, იწვევს ინფლაციას, რასაც ახლავს წარმოების დაქვეითება. ამ პოლიტიკის შედეგად, რომლის მთავარი მსხვერპლი გახდნენ მუშები, არარად აქცია მშრომელთა ეკონომიური მონაპოვარი. მოხსენება პროფკავშირის წევრებს მოუწოდებს განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი ხელფასის მომატებისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ქვიკამზიდ „სარატოგაზე“

ვაშინგტონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ავიამზიდ „სარატოგაზე“ თათბირი მოიწყო ამერიკის მე-6 ფლოტის სარდლობასთან. იქ იგი ეთათბირა აგრეთვე სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსს, თავდაცვის მინისტრს მ. ლეირდს და სპეციალურ თანამემწეს ირვინგს ოფიციალურ ოფიციალურ ოფიციალურ

ასმეცხრამეტე საოპერო...

მოგვითხრობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი დ. მეედლიძე

უოველი ახალი სეზონის დაწყება თეატრის ცხოვრებაში ახალი შემოქმედებითი მღელვარებითა და სახარულით არის აღსავსე როგორც თეატრის კოლექტივისათვის, ისე მაყურებლისათვის. დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიც თავის ასმეცხრამეტე სეზონს ახალი მიზნებითა და შემოქმედებითი ამოცანებით იწყებს.

ახალ სეზონში თეატრს მიტად სერიოზული და საპასუხისმგებლო მუშაობა მოელის. უკვე შეიქმნა ქით მზადებას საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის შესახვედრად. ამ თარიღს მიეძღვნა გასვლითი სპექტაკლები, რომლებიც რესპუბლიკის რაიონებში ჩავატარეთ. მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში ეუჩვენეთ „ქეთო და კოტე“. ოგიგი სპექტაკლი ნახეს დუშეთში, კასპში, ქარელში. სპექტაკლები გაიმართა ღია ცისქვეშ, სტადიონებზე, სადაც 5.000-მდე მაყურებელი იყრიდა თავს. ერთკვირეული მოვაწყეთ გორის დრამატული თეატრის შენობაში, სადაც დაიდგა „დაისი“, „ქეთო და კოტე“, „ჯარმენი“, ბალეტი „ეკმა ინბოლიტი“.

28 სექტემბერს ოპერა „დაისით“ დაიხსნა ერთკვირეული გორში. დღეს კი ამავე სპექტაკლით სეზონს ვხსნით თბილისში. სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს სცენას დაუბრუნდა სახელოვანი მომღერალი ზ. ანჯაფარიძე, რომელიც სისტემატურად მიიღებს მონაწილეობას სპექტაკლებში.

საბჭოთა საქართველოს ოებლის მივუძღვნით „აბესალომ და ეთერისა“ და ო. თაქთაქიშვილის „მინდიას“ ახალ დადგმებს. „აბესალომის“ დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. ჯახიძე, დამდგმელი-რეჟისორი გ. მელიავა, სპექტაკლს ამორჩებს რსდსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, ლენინორი და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ს. ვირსალაძე. „მინდიას“ დირიჟორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. მირცხულავა. დამდგმელი-რეჟისორი თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჟორდანია, მხატვარი — გ. სუმბათაშვილი. ვახტანგ ჭაბუკიანი დგამს ბალეტ „ჰამლეტს“, რომლისთვისაც მუსიკას წერს კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე. ხორეოგრაფიისათვის დაიდგმება ნ. მამისაშვილის საბავშვო ოპერა „ბაქია ბაქია“ (დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი, მხატვარი — მ. მალაზონია). წლის ბოლომდე დავდგამთ ვერდის „ოტელოს“, რომელშიც ჩვენ შემსრულებელი (სოლისტები, გუნდი) იტალიურ ენაზე იმღერებს.

პარალელურად მიმდინარეობს მზადება ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის. ამასთან დაკავშირებით მომავალი წლის ოქტომბერში ზ. ფალიაშვილის სპექტაკლებს ვიჩვენებთ საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე.

ახალი დადგმების გვერდით მიმდინარე რეპერტუარშია ქართველ, რუს, დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კომპოზიტორების ოპერები და ბალეტები, რომლებსაც უკვე იცნობს ჩვენი მაყურებელი.

თეატრის მთავარ დირიჟორად დანიშნა რესპუბლიკის სახალხო არტისტი პროფესორი ვ. ფალიაშვილი, მთავარი რეჟისორია გ. ჟორდანია, მთავარი ხორეოგრაფია გ. მონაღიშვილი. წამყვანი მსახიობების გვერდით სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა შემსრულებლებიც. ჩვენს სპექტაკლებში გამოვალენ მსოფლიოს საოპერო და საბალეტო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ქუთაისის საოპერო ფილიალში, რომელმაც სეზონი გასვლითი სპექტაკლებით დაიწყო. მეშახტეობა ქ. ტყიბულში, სამტრედიაში, წულუკიძეში ეუჩვენეს „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“. 3 ოქტომბერს ქუთაისის სტაციონარზე სეზონი გაიხსნება „აბესალომ და ეთერით“.

ეი ასეთი ამოცანების წინაშე დგას ჩვენი ქართული საოპერო თეატრი. ახალი ენთუზიაზმი და სქემისადმი დიდი სიყვარული, რომლითაც ჩვენმა თეატრმა დაიწყო თავისი მუშაობა ამ სეზონში, იმის საწინდარია, რომ საბჭოთა საქართველოს სახელოვან იუბილეს ღირსეულად შეეხვედებით.

საქართველოს ძია-ბაბუები

ახალი წყალქვეშაფრთიანი

ბათუმი. (საკ. კორ.). **შორს გათქვა სახელი ბათუმურმა წყალქვეშაფრთიანმა კატარღამ. იგი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა და საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.**

ნაირ-ნაირი

ასოცხე მერმა ვეკაცმა ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და მთის პატარა სოფელ წვავიდან (ზესტაფონის რაიონი) ომში წავიდა. აქედან ითვმის ნახევარს აღარ ელოდა მშობლიური სოფლის ხალვა. ამ დღეებში სწორედ ძალი, შინმოუსვლელთა ფოტოსტენდი გაიხსნა სოფელში. ფოტოსტენდი სოფლის მკვიდრმა, ძირულის ადგილის ქარხნის ენერგეტიკოსმა გ. ნიშნიანიძემ გააკეთა.

ს. ნიშნიანიძე.

ცხინვალი. (საკ. კორ.). **წელს ცხინვალში მუშაობა დაიწყო ხაშუალო მუსიკალურმა სასწავლებელმა. ამ კარგ საჩუქარს ცხინვალელები დიდი ხანია ელოდნენ. მუსიკალური სასწავლებელი მოთავსებულია სპეციალურად აგებულ შენობაში ქალაქის ცენტრში.**

გაისად სწრაფმავალი წყალქვეშაფრთიანი კატარღების ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება, ამასთან მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ ახალი კონსტრუქციის კატარღას — „ვოლგა-70“-ს.

„ვოლგა-70“-ს უფრო მძლავრი ძრავი ექნება. გაუმჯობესდება გარე და შიგა გაფორმება, გამარტივდება მართვის სისტემა.

ახალი პროდუქციის გამოხაშვებად აიგო საამქრო, სადაც დამონტაჟდა ახალი ნაკადური ხაზი.

შეხვედრა გმირთან

ონი. (საკ. კორ.). **ღარელმა მწრომელებმა გუოთბილი შეხვედრა მოუწყეს რაიონის მკვიდრს, საბჭოთა კავშირის გმირს გალაქტიონ რაზმაძეს.**

მის ცხოვრებასა და ბრძოლის ეპიზოდებზე ილაპარაკა გმირის თანაკლასელმა, ღარის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ლ. მეტრეველმა.

ძვირფას სტუმარს მიესალმნენ პიონერები და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მეცნიერის საჩუქარი

აბაშა სარაიონო ბიბლიოთეკა 3 ათასამდე მკითხველს ითვლის. იგი მდიდარია ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით.

რაიონულ ბიბლიოთეკას კიდევ შეემატა ახალი წიგნები. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა რაიონულ ბიბლიოთეკას ოასსაყიდლოდ გადასცა 150 დასახელების სამეცნიერო, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა.

მეცნიერის საჩუქარმა დიდი ამაყოფილების გრძნობა გამოიწვია მკითხველებში.

ივ. თოფურია.



საქართველოში სად არ შეხვდებით მთაზე გადმომდგარ მონასტერს თუ ციხე-კოშკს, მომხდურ მტერთან ბრძოლაში ქონგურებდალეწილს, მრავალ ჭირგამოვლილს, მაგრამ დღეს მაინც ამაყად აღმართულს.

ასე დგას ხევსურეთში ლებაისკარის ციხე-საგუშაგო კოშკი, ჩვენს მშვიდობიან დროში ტურისტებისა და მოგზაურთა ყურადღებას რომ იპყრობს.

ფოტო ი. წიკლაურისა.

ჯილდო „ვოლგას“

გორკი. 30 სექტემბერი. (საკადესის კორ. გ. ვოროონინი). გორკის ახალ ავტომობილ „ვოლგა გაზ-24“-ს მიენიჭა ლაფიცეკის 1970 წლის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობის დიპლომი და ოქროს medali. საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა საავტომობილო ქარხნის მთავარ ინჟინერს ფ. დ. ზინჩენკოს განემარტა ეს ცნობა.

— ლაფიცეკში, — თქვა მან, — „ვოლგა“ წარმოდგენილი იყო ბევრი ცნობილი საზღვარგარეთული ფირმის მანქანების ახალ მოდელებთან ერთად. ბაზრობის ეიურომ აღნიშნა, რომ „ვოლგა გაზ-24“ სჯობს თავისი კლასის მანქანებს გარეგნული ფორმით, სამგზავრო სალონის მოწყობით, მართვის სიმსუბუქით, ეკონომიურობით.

საწარმოში გრძელდება მუშაობა ახალი მანქანების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამოშვების გადიდებისათვის. მეოთხე კვარტალში „ვოლგა გაზ-24“ საექსპორტოდ გაიგზავნება. უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო და საშინაო ბაზრისათვის პირველად იქნება გამოშვებული ერთიანი სერიული მანქანები.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ქართველი მათემატიკოსები საერთაშორისო ფორუმზე

ამ დღეებში საფრანგეთიდან დაბრუნდა ქართველ მათემატიკოსთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. საბჭოთა კავშირიდან კონგრესში მონაწილეობდა მათემატიკოსთა დელეგაცია დაახლოებით 100 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყო 10 ქართველი მეცნიერი: აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი და ი. ვეკუა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბიწაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ნ. ვეკუა, გ. ჯოლოვანი, რ. გამყრელიძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები — დ. კვესელავა, გ. მანჯავიძე, გ. მანია და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა პრაველი ქართველი დოქტორი ქალი ელენე ოგოლაშვილი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუბულური შეხვდა კონგრესის მონაწილეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს პროფესორ გ. ჯოლოვანს და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო კონგრესის მიმდინარეობის შესახებ. რა ძირითადი პრობლემები იქნა განხილული მათემატიკოსთა ამ საერთაშორისო ფორუმზე.

ეი რა გვიპასუხა მან:

მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირი ოთხ წელიწადში ერთხელ აწყობს საერთაშორისო კონგრესებს, რაც ერთგვარად ხელს უწყობს მათემატიკური აზრის განვითარებას და განამტკიცებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შემოქმედებითს კონტაქტებს.

ქართველი მათემატიკოსები დიდი შემადგენლობით მრავალრიცხოვანი იყო. აქ შეიკრიბნენ მათემატიკის ყველა დარგში მომუშავენი. მეცნიერული ორგანიზაცია კონგრესისა ცოტა ახლებური იყო და არც თუ ნაკლოსაგან დაზღვეული. მოვიისმინეთ მხოლოდ მიმოხილვითი ხასიათის მოხსენებები. თავიანთ მოხსენებებში კონგრესის მონაწილენი ლაპარაკობდნენ არა მარტო პირად კვლევითს შედეგებზე, როგორც ეს ნონა კონგრესებზე ხდებოდა ხოლმე, არამედ უმეტესად მიმოიხილავდნენ იმას, რაც გამდიდნარეობდა. მოვისმინეთ ბევრი მეტად საყურადღებო მოხსენებები. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ წლებში მათემატიკაში მოხდა ხაინტერესო აღმოჩენები, ამოიხსნა ბევრი ისეთი ამოცანა, რომელიც ათეული წლების მანძილზე იქცევდა მათემატიკოსთა მბაფრ ყურადღებას და არ იყო თითქოსდა იმედი მათი გადაწყვეტისა. ასეთ საკითხებს ბევრმა მომხსენებელმა დაუუმო ადგილი თავის გამოსვლაში.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ნ. მუსხელიშვილი და ი. ვეკუა მონაწილეობას იღებდნენ მათემატიკოსთა საერთაშორისო კომისიების სხდომებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კონგრესებზე ყოველთვის ხდება ხოლმე ახალგაზრდა მათემატიკოსებისათვის ე. წ. ფილდსის პრემიის მინიჭება, ამჯერად ეს პრემია ერგო ოთხ ახალგაზრდა მათემატიკოსს. საბჭოთა კავშირიდან პრემია მიიღო ს. პ. ნოვიკოვმა. პირველი საბჭოთა მათემატიკოსი, რომელსაც ეს პრემია მიენიჭა, საქართველოში ტოპოლოგია.

კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა ხუთშაბათ-ოთხ ოთხ ოთახში ერთ-ერთ ოთახში ბელგიელ საკურორტო ზონის ცენტრში, ქ. ნიცაში. საორგანიზაციო კომიტეტმა მოაწყო ბევრი ექსკურსია.

როგორც მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, მორიგი კონგრესი გაიმართება კანადაში, ქალაქ მონრეალში.

ნიცაში, კონგრესზე

ხანია მონაწილეობას იღებენ ამ კონგრესის მუშაობაში. ჯერ კიდევ 1924 წელს გამართულ კონგრესზე, რომელიც შედგა კანადაში, ქალაქ ტორონტოში, მონაწილეობას იღებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ანდრია რაზმაძე.

შემდეგ კონგრესზე, რომელიც 1928 წელს გაიმართა იტალიაში ქ. ბოლონიაში, გარდა ა. რაზმაძისა, მონაწილეობდნენ გ. ნიკოლაძე და ნ. მუსხელიშვილი. ორივე კონგრესზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოვიდნენ მოხსენებებით.

რაც შეეხება საფრანგეთში წელს გაპართულ კონგრესს, იგი თავისი ზომიერებით ერთ-ერთ ადგილს იკავებს ადამიანური ურთიერთობის ისტორიაში. ეს ეხება ეროვნულ ენებს, ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ ფერებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებს, ეროვნულ ფანტაზიებ

ორ დღეში — ხუთი დათვი

ლენტეხი. (საკ. კორ.). **სოფელ ხასაშს დათვები შეეჩვევნენ. ისინი ულმობლად ანადგურებდნენ შინაურ პირუტყვს. ვინ იცის რამდენჯერ გაგრძელდებოდა მათი თარეში, ქუთაისელი ამირან ადამიანტუმრად რომ არ ჩამოსულიყო.**

სტუმარმა ერთ ხალამოს იარაღი აიხსნა და დათვებზე ხანადიოდ წავიდა. მონადირემ ხერხი იხმარა, ჯიბის ფარნის შუქით დათვს ჯერ გზაკვალი აუბნია, მერე თოფის ორი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა.

ა. ადამიამ მეორე ღამითაც ნადირობის ნაცადი მეთოდი იხმარა და ამჯერად ოთხი მხეცი გაანადგურა.

ორ დღეში — 5 დათვი.. მართლაც რომ კარგი ნადავლია.

მონადირის გილიკებით

ჭიათურა. მანდაეთში მცხოვრები თედო შუმლაძე კარგი ტყის მცველი, ბუნების მეგობარი და მამაცი მონადირეა, მტაცებელ ცხოველებსა და ფრინველს სპობს.

ბოლანასკნელ წლებში ო. შუმლაძემ მოკლა ასამდე მელა, 50-მდე მაჩვი, ზუთი ტორა, ოთხი კვერნა და სხვ. მარტო წელს ხაფანგით დაიჭირა 12 ნადირი.

შ. კაპანაძე.

ტურისტული გილიკებით

კემპინგი „გუმისთა“ (სოხუმი) ფოტო ს. კოროტკოვისა.

საბჭოთა მოჭადრაკეთა ჰეგემონია

ზიმენმი მყოფმა საჭადრაკო მიმომხილველებმა ასეთი კითხვით მიმართეს გამოჩენილ უცხოელ გროსმაისტერებს: „რითი ხსნით საბჭოთა მოჭადრაკეების ჰეგემონიას და, თქვენი აზრით, რამდენ ხანს გაგრძელდება იგი?“.

ეი რამდენიმე პასუხიც:

ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია): საბჭოთა ადამიანებისათვის ჭადრაკი აღარ არის გართობა, იგი გაცილებით მეტს ნიშნავს. ამიტომ ვფიქრობ, რომ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა კიდევ დიდხანს იქნება წინ არა მარტო გუნდურ, არამედ პირად მსოფლიო ჩემპიონატშიც.

მიგელ ნაიდორფი (არგენტინა): საბჭოთა მოჭადრაკეებს ძალიან კარგი სკოლა და საუკეთესო ტრადიციები აქვთ. ომის შემდეგ ხომ მსოფლიოს ყველა ჩემპიონი საბჭოთა კავშირში ცხოვრობს. ყველა, მოტვინიკიდან დაწყებული. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, საბჭოთა მოჭადრაკეები ძალიან ბევრს მუშაობენ, ვარჯიშობენ და ერთიც — საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი ადამიანი თამაშობს ჭადრაკს. თქვენი რიგითი მოჭადრაკეები ეცილებით უკეთ თამაშობენ, ვიდრე სხვა ქვეყნების მოყვარულები. მე არაერთგზის ყოფილვარ საბჭოთა კავშირში, გამოესულვარ ტურნირებში, გამიმართავს ერთდროული თამაშის სეანსები. როგორც ტურნირებში, ისე სეანსებშიც ძალიან მიჭირდა თამაში.

საბჭოთა კავშირში საჭადრაკო ცხოვრება საუცხოოდ არის ორგანიზებული. ისე რომ საბჭოთა საჭადრაკო ჰეგემონია ხანგრძლივი იქნება.

ლაიოშ პორტიში (უნგრეთი): საბჭოთა ჰეგემონია ჭადრაკში დიდხანს გასტანს. რატომ? იმიტომ, რომ თქვენს ოსტატებს, ჩემი აზრით, დახელოვნებისათვის საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი. მათ ლიტერატურაც საკმაო რაოდენობით აქვთ და ტურნირებიც.

ვოლფგანგ ულმანი (გდრ): რამდენიმე სიტყვა საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ჰეგემონიის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, ჭადრაკი საბჭოთა კავშირში ტრადიციული, საყვარელი თამაშია. საბჭოთა ნაკრები იმიტომაც არის ძლიერი, რომ ბავშვები, პიონერები ოსტატების ხელმძღვანელობით მეცადინეობენ, განიცდიან ამ ოსტატების გავლენას და ეს, საბოლოო ანგარიშით, კარგ სკოლას ქმნის. მე ვიცნობ ბევრს გამოჩენილ საბჭოთა მოჭადრაკეს, რომლებიც ყმაწვილებთან მუშაობენ და ჩინებული შედეგებიც აქვთ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, — რომ საბჭოთა ნაკრები ძირითადად მსოფლიოს ჩემპიონისა და ექს-ჩემპიონებისაგან შედგება.

რაც შეეხება მსოფლიოს პირად პირველობას, აქ ყოველთვის მოსალოდნელია ცვლილებები. მალე გაიმართება საზონათაშორისო ტურნირი, რომელიც შეამცირებს ბ. სპასკისთან შეხვედრის პრეტენდენტთა რიცხვს. ჩემი აზრით, ბრძოლის გაგრძელების რეალური შანსები აქვს ყველა საბჭოთა გროსმაისტერს, უცხოელთაგან კი ბ. ლარსენს, ლ. პორტიშს, ვ. ჰორტს.

ტელევიზია

1 ოქტომბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „შემენ ბრძოლა!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება. „სტიუა“ რუმინეთი — „ბარაკატი“ ლეგეი. მეორე ტაიმი (გადმოცემა რუმინეთიდან), 13.15 — მხატვრული ფილმი „საფოსტო რომანი“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა აზერბაიჯანი 50 წლისაა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა „ახალი წიგნები“, 19.15 — „ერონარკვევი, 19.25 — „კინნიერების სადარაჯოზე“, 19.40 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა, 20.30 — ფუტბურნი საბჭოთა კაპიტალის პირველობაზე. „დინამო“ მოსკოვი — „ტორპედო“ მოსკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს და 22.15— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — მხატვრული ფილმი „საოცარი ივეგუდილ ხლამიდა“.

2 ოქტომბერი

11.55 — აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი (გადმოცემა ბაკიდან). ტრანსლაციის შემდეგ აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 18.05 — ახალი ამბები, 18.10— კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა —მოუსვენარი ბრის ადამიანები“ — გალაქტიონ ახვლედიანი, 18.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.05 — კინონარკვევი, 19.25 — „საბჭოთა საქართველო-50“. „დიადი წლების ქრონიკა“ — 1921 წელი, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა „ფოთოლცვენა“, 21.00 — აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ფრეენბურთში ვაჟთა მორის ფინალი (გადაცემა ბულგარეთიდან).

კინო

1 ოქტომბერი

ოქტომბერი — **ჩერმენი**; ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო და საზაფხულო), გაზაფხული, სპარტაკი, ვარძია, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **რეზიდენტის ბედი** (I, II სერია); თინამგზავრი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ეძიეთ და იპოვნეთ**; ფილარმონიის ბალი — **მე-17 ცა**; საქართველო (მწვანე და წითელი დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), ნაკადული, კოლმეურნე — **ყვავილი და ქვა** (I, II სერია); კოლხიდა (საზაფხულო), ყაზბეგი (პირველი დარბაზი)— **არ აიცდენო, ახუნტა!**; ბათუმი — **ცოლქმრული ცხოვრება** (I, II სერია); გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **სერენადა დიდი სიყვარულისა**; ეკრანი, სხარული — **სიყვარულის ხეზონი**, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **დიდი პრიზი** (I, II სერია); თბილისი — **ხიბა**.

ამინდი

როგორი იქნება ოქტომბერი?

სექტემბრის მიწურულში საკმაოდ აცივდა, თბილი ამინდების შემდეგ წამოუბერა ცივმა ქარმა, გახშირდა წვიმები, ოქროსფერ შემოდგომას რუხმა ფერმა გადაჰკრა. საინტერესოა, როგორი იქნება ოქტომბერი?

წლევანდელი ოქტომბერი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია თბილი. დასავლეთ საქართველოში — ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 16-19, მთიან რაიონებში 8-13 გრადუსის ფარგლებში.

წვიმიანი ამინდი, ალაგ-ალაგ ელჭექით მოსალოდნელია უმეტესად პირველ დეკადაში და 20-21 ოქტომბერს, დანარჩენ დროს უმეტესად მშრალი ამინდი იქნება. თვის შუა რიცხვებში რიონის ხეობაში დროგამოშვებით ექროლება 10-15 მეტრწამის სიძლიერის ქარი.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია მეორე დეკადის პირველ ნახევარში: დაბლობ რაიონებში 27-32, მთიან რაიონებში 22-27 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში 17-22 გრადუსის ფარგლებში.

შედარებით გრილი ამინდი მოსალოდნელია 20-21 ოქტომბერს. დაბლობ რაიონებში ღამით იქნება 8-13, დღისით 17-22 გრადუსი.

წვიმიანი და გრილი ამინდი მოსალოდნელია 3-7 და 20-22 ოქტომბერს. ტემპერატურა ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და მთებში ღამით 2-7 გრადუსი, დღისით 13-18. ქართლის ვაკის აღმოსავლეთ რაიონებსა და კახეთში ღამით 8-13, დღისით 14-19 გრადუსი. მაღალმთიან რაიონებში ღამით მინუს 2 პლუს 3, დღისით 9-14 გრადუსი.

მტკვრის ხეობაში თვის დასაწყისსა და შუა ნაწილში დროგამოშვებით აღინიშნება დასავლეთის ქარის ხანმოკლე გაძლიერება 10-15 მეტრწამამდე.

ვ. გოგოტიშვილი,
თბილისის ამინდის ბიროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ჩვენი იუბილეები

შეკითხვა: ვმუშაობ რაიონული გაზეთის რედაქციაში ლიტერატურული მუშაკის თანამდებობაზე. შვებულებაში წასვლის დროს მისაღები ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება თუ არა საავტორო ჰონორარი?

ე. ბერძენიშვილი,
ადიგენი.

პასუხი: გაზეთებისა და ჟურნალების შტატის მუშაკების მიერ შვებულების პერიოდში მისაღები საშუალო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საავტორო ჰონორარი. ამასთან საშუალო ხელფასის ოდენობა ჰონორარის გათვალისწინებით არ შეიძლება აღემატებოდეს 220 მანეთს.

შეკითხვა: ოჯახის წევრებს შორის თანასწორ წილად გაიყოფა თუ არა საცხოვრებელი ბინის ფართობი?

პ. ალგუთავშვილი,
თბილისი.

პასუხი: საცხოვრებელი ბინის დამქირავებელს და მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს თანაბარი უფლება აქვთ საცხოვრებელი ბინის ფართობზე.

დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან მეუღლე, შვილები, მშობლები. სხვა ნათესავები და ახლოვები შრომისუუნარო სარჩენი პირები შეიძლება ცნობილ იქნან დამქირავებლის ოჯახის წევრებად, თუ ისინი მასთან ერთად ცხოვრობენ და ერთ საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევიან.

დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრებს შორის საცხოვრებელი ფართობი გაიყოფა თანასწორ წილად.

შეკითხვა: ვარ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი-პენსიონერი, დამსახურებული აგრონომი, მაქვს 2500 კვადრატული მეტრი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, გადამხდება თუ არა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი?

მ. ლორთქიფანიძე,
ლენინგორი.

პასუხი: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან მეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდები, იმ პირობით, თუ ოჯახში ერთ შრომისუნარიან წევრთან ერთად არიან 16 წლამდე ასაკის ბავშვები.

შეკითხვა: თორმეტი წლიდან ძვლების ავადმყოფობის გამო გავხდი მუდმივი ინვალიდი. მეკუთვნის თუ არა პენსია?

ვ. გურგენიძე,
თერჯოლა.

პასუხი: ბავშვობიდან პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მეძლევათ დახმარება თვეში 16 მანეთის ოდენობით.

შეკითხვა: უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და მათთან გათანაბრებულ ადგილებში სამუშაოდ წასული პირს შეუძლია თუ არა თავის საცხოვრებელ ბინაში დროებით ჩაასახლოს სხვა პირი?

შ. მაისურაძე,
ბორჯომი.

პასუხი: საცხოვრებელი ბინის დამქირავებელს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან მათთან გათანაბრებულ ადგილებში სამუშაოდ წასვლის შემთხვევაში საცხოვრებელი ბინა ჯავშნება (ნახება) განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის ნებართვას განიხილავს მუშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მიუხედავად საცხოვრებელი სახლის უწყებრივი კუთვნილებისა.

აღმასრულებელი კომიტეტის ერთი საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სახალხო სასამართლოში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს, სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლება აქვს მისთვის დაჯავშნილ საცხოვრებელ სადგომში დროებით ჩაისახლოს სხვა პირი იმ პირობით, რომ ჩასახლების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ჯავშნის ვადას. დამქირავებელისა და მისი ოჯახის წევრების დაბრუნებისას დაჯავშნილ სადგომში ჩასახლებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გათავისუფლოს სადგომი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსახლებულ უნდა იქნას სასამართლო გადაწყვეტილებით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 303 და 304-ე მუხლი).

გაცემული ჯავშნის გაუქმება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

შეკითხვა: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის შეიძლება თუ არა პირი მიცემულ იქნას პასუხისგებაში ორი თვის გასვლის შემდეგ?

თ. შუშანაშვილი,
დუშეთი.

პასუხი: პირი არ შეიძლება მიეცემოდეს იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ მის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა ერთი წელი.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ქომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-92-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 93-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443 ц-10582

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის გ. 14.